ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2024 | No. 5, 97-108

ISSN2667-9825(online)

გენდერული განსხვავებების მიმოხილვა აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკასა და გამოვლინებაში

გურანდუხტ ოსიძე და ნია დავითაძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

A Review of Gender Differences in the Diagnosis and Manifestation of Autism Spectrum Disorder

Guramdukht Osidze and Nia Davitadze

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის აშლილობა არის ნეიროგანვითარების დარღვევა, რომელიც ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია. მას ახასიათებს შეზღუდული საკომუნიკაციო უნარები და განმეორებითი სტერეოტიპული ქცევები, ამასთანავე, ვლინდება სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების სირთულეები. დიაგნოზი, როგორც წესი, ადრეულ ბავშვობაში ისმება, ხოლო გვიანი სკრინინგი და დიაგნოსტირება დამატებით სირთულეებს იწვევს, განსაკუთრებით გოგოებში, რომლებსაც ქცევისა და თავისებურებების მრავალფეროვნება ახასიათებთ. ბოლო მონაცემების მიხედვით, მამაკაცებსა და ქალებში აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის თანაფარდობაა 3,8:1(Maenner et al., 2023). არსებული დიაგნოსტიკური სქესთაშორისი განსხვავების მიზეზი ჯერ-ჯერობით უცნობია. ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება აუტიზმის სპექტრის აშლილობის ქცევით გამოვლინებებში უკავშირდება შენიღბვას, რაც ნიშნავს იმ ქცევების დამალვას, რომლებიც საზოგადოებაში ატიპიურად მიიჩნევა. "შენიღბვის ჰიპოთეზის" მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებს უფრო წარმატებით შეუძლიათ შენიღბვის სტრატეგიების გამოყენება, რის შედეგადაც, ისინი კომუნიკაციურ და სოციალურ სირთულეებს მალავენ. შენიღბვის მამოტივირებელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც კარიერული წარმატება, ისე სოციალური ფაქტორები, როგორიცაა სამეგობრო წრეში ინტეგრაცია, ასევე მარტოობის არიდებისა და სოციუმში ჩართვის სურვილი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ შენიღბვის ქცევა შეიძლება ადამიანის კეთილდღეობისთვის დამანგრეველი აღმოჩნდეს. ის კორელირებს შფოთვასთან, სტრესთან, უკიდურეს დაღლილობასთან, იდენტობის შეგრძნების დაკარგვასთან და სუიციდთან. პირველი რაოდენობრივი თვითანგარიშის ინსტრუმენტი - the Camouflaging Autistic Traits Questionnaire (CAT-Q) აფასებს შენიღბვის სამ ქვეტიპს: კომპენსაციას, მასკირებასა და ასიმილაციას. CAT-Q-ის გამოყენებით შესაძლებელია შენიღბვის სტრატეგიების იდენტიფიცირება, რაც მომავალში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდებში (განსაკუთრებით ქალებში) სწორი დიაგნოზის დასმასა და საჭირო ინტერვენციების შემუშავებაში დაგვეხმარება.

საკვანძო სიტყვები: *აუტიზმის სპექტრის აშლილობა, შენიღბვა, სქესთაშორისი განსხვავებები, CAT-Q, დიაგნოსტირება.*

ISSN2667-9825(online)

Abstract

Autism Spectrum Disorder (ASD) is a neurodevelopmental condition resulting from neurobiological differences. It is characterized by restricted communication skills and repetitive, stereotyped behaviors, along with difficulties in establishing social relationships and challenges in cognitive development. Diagnosis is typically made in early childhood, but late screening and diagnosis present additional difficulties, especially for girls, who often exhibit a greater variety of behaviors and characteristics. According to recent data, the ratio of ASD diagnoses between males and females is 3.8:1 (Maenner et al., 2023). The reason for the existing diagnostic sex difference is currently unknown. One perspective suggests that the significant sex difference in the behavioral manifestations of ASD is related to camouflaging, which means hiding behaviors that are considered atypical in social settings. According to the "camouflaging hypothesis," females with Autism Spectrum Disorder are more successful at using camouflaging strategies, as a result of which they conceal their communication and social difficulties. Motivating factors for camouflaging can include career success, as well as social factors like integration into a friend group, and the desire to avoid loneliness and be included in society. It is important to note that camouflaging behavior can be detrimental to an individual's well-being. It correlates with anxiety, stress, extreme exhaustion, loss of a sense of identity, and suicide. The first quantitative self-report instrument – the Camouflaging Autistic Traits Questionnaire (CAT-Q) – assesses three subtypes of camouflaging: compensation, masking, and assimilation. The use of the CAT-Q allows for the identification of camouflaging strategies, which will help in the future to establish a correct diagnosis and develop necessary interventions for individuals with Autism Spectrum Disorder (especially females).

Keywords: *Autism Spectrum Disorder, Camouflaging, Sex Differences, CAT-Q, Diagnosis.*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

აუტიზმის სპექტრის აშლილობა არის ნეიროგანვითარების დარღვევა, რომელიც ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია. მას ახასიათებს შეზღუდული საკომუნიკაციო უნარები და განმეორებითი სტერეოტიპული ქცევები, ამასთანავე, ვლინდება სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პრობლემები. CDC-ის უახლესი მონაცემების მიხედვით, აშშ-ში ყოველი 31 ბავშვიდან ერთს აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვის დახმარება, პირველ რიგში, მისი სწორი და დროული დიაგნოსტიკაა. კვლევებით დადასტურდა, რომ მშობლების პირველი ჩივილი მაშინ აღინიშნება, როცა ბავშვი 18 თვის ასაკს აღწევს, ამ დროს თვალსაჩინო ხდება ენისა და მეტყველების განვითარების შეფერხება - ბავშვი არ ლაპარაკობს და არც უფროსების ლაპარაკს აქცევს ყურადღებას. როგორც წესი, თავდაპირველად ბავშვს პედიატრი, ან ბავშვთა ნევროლოგი აფასებს, რომლებიც ხშირად უგულებელყოფენ სპეციალისტის დროული ჩართულობის მნიშვნელობას, ეს კი აფერხებს ადრეული ინტერვენციისა და დროული დახმარების შესაძლებლობას. ამიტომ ბავშვის შეფასება უნდა მოხდეს მულტიდისციპლინული გუნდის მიერ, რომელიც მოიცავს პედიატრს, ბავშვთა ნევროლოგს, ნეიროფსიქოლოგს, მეტყველების თერაპევტს, ბავშვთა ფსიქიატრს და ოკუპაციურ თერაპევტს. აუტიზმის დიაგნოსტირებისთვის გავრცელებული ინსტრუმენტებია აუტიზმის სპექტრის აშლილობის განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვების სკრინინგისთვის (M-CHAT), აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკური დაკვირვების სქემა (ADOS), აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკური ინტერვიუ (ADI-R), გილიამის აუტიზმის სპექტრის აშლილობის შესაფასებელი სკალა (GARS). ვინაიდან აუტიზმის დიაგნოსტირება ძირითადად ქცევით გამოვლინებებს ემყარება, რაც უფრო თვალსაჩინოა ქცევითი მარკერები, დიაგნოსტირებაც მით უფრო მარტივად და დროულად ხდება. ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვს მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და მსუბუქი ქცევითი გამოვლინებები აქვს, დიაგნოსტირება შეიძლება დაგვიანდეს, მანამ, სანამ სოციალური გარემო მისგან იმაზე მეტ რესურსს არ მოითხოვს, ვიდრე მას გააჩნია. ტიპიურად დიაგნოზი ადრეულ ბავშვობაში ისმება, ხოლო გვიანი სკრინინგი და დიაგნოსტირება დამატებით სირთულეებს იწვევს, განსაკუთრებით გოგონებში, რომელთაც ქცევის მრავალგვარი თავისებურება ახასიათებთ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტირება ქალებში, მაგრამ აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი მაინც გაცილებით უფრო მეტად მამაკაცებშია გავრცელებული. ADDM (Autism and Developmental Disabilities Monitoring)-ის ბოლო მონაცემების მიხედვით, მამაკაცებსა და ქალებში აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზის თანაფარდობაა 3,8:1. *(Maenner et al., 2023)*. არსებული დიაგნოსტიკური სქესთაშორისი განსხვავების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები და კრიტერიუმები შეუსაბამოა გოგონების დიაგნოსტირებისთვის, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ მნიშვნელოვან გენდერულ განსხვავებებს და ძირითადად მამაკაცთა პოპულაციაზე არიან მორგებულნი. წლების განმავლობაში არაერთი ჰიპოთეზა გაჟღერდა, რომლითაც ცდილობენ აუტიზმის სპექტრში გენდერული განსხვავებების ახსნას. ერთ-ერთი ასეთი ჰიპოთეზა ეკუთვნის ბარონ-კოჰენს, რომლის მიხედვითაც, აუტიზმი არის უკიდურესად მამაკაცური ტვინის (EMB – Extreme Male Brain theory) გამოხატულება, რომელსაც გაძლიერებული სისტემატიზაცია და შემცირებული ემპათია ახასიათებს *(Baron-Cohen, 2002)*. მეორე შეხედულების მიხედვით (female “protective” effect (FPE) model), არსებობს ფაქტორები, რომლებიც ქალს აუტიზმის სპექტრის აშლილობის განვითარებისგან იცავს, ვინაიდან ქალების

ISSN2667-9825(online)

შემთხვევაში, აღნიშნული აშლილობის ჩამოყალიბებისთვის გენეტიკური მუტაციების გაცილებით მეტი რაოდენობაა საჭირო *(Dougherty et al., 2022).* ორივე თეორიულ ჩარჩოს გააჩნია საგულისხმო შეზღუდვები. უკიდურესად მამაკაცური ტვინის თეორიის მთავარი სისუსტე გენდერული განსხვავებების ზედმეტი განზოგადებაა. Cohen-ი მიიჩნევდა, რომ მამაკაცები ბუნებრივად უფრო სისტემატიზირებულები არიან, ხოლო ქალები - უფრო ემპათიურები, რაც ემპირიული მონაცემებით არ დასტურდება. მეტიც, მსგავსი გენდერული განსხვავებები მცირეა და მეტწილად განპირობებულია კულტურული გავლენით და არ არის უნივერსალური *(Hyde, 2005; Lippa, 2010).* გარდა ამისა, თეორია ქალებისა და მამაკაცების შესახებ სტერეოტიპებს განამტკიცებს, რაც ქალების დიაგნოსტირებას ართულებს. რაც შეეხება female "protective" effect (FPE) model-ს, თეორია არ აკონკრეტებს იმ ბიოლოგიურ მექანიზმს, რომელიც იცავს ქალს აუტიზმის სპექტრის აშლილობის დარღვევისგან. არსებული ვარაუდები მოიცავს ჰორმონალურ, გენეტიკურ და სოციალურ ფაქტორებს, თუმცა არცერთ მათგანს მყარი სამეცნიერო დასაბუთება არ გააჩნია.

კიდევ ერთი შეხედულების მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის ქცევით გამოვლინებებში მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება უკავშირდება შენიღბვას. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე მრავალი ინდივიდი სოციალურ სიტუაციებში წარმატებული ადაპტაციისთვის სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებს. ისინი მალავენ იმ ქცევებს, რომლებიც საზოგადოებაში ატიპიურად მიიჩნევა - ამას ეწოდება შენიღბვა *(Milner et al., 2023).* მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექნიკა ინდივიდს სოციუმთან ადაპტაციაში ეხმარება, ის ასევე დაკავშირებულია გაუარესებულ მენტალურ ჯანმრთელობასთან და დაგვიანებულ დიაგნოსტირებასთან. კვლევებით დასტურდება, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალები გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ შენიღბვას, ვიდრე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები. შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ შენიღბვა ართულებს ქალებში დროულ და სწორ დიაგნოსტიკას. მეტიც, ქალების მიერ აუტიზმის სპექტრის სიმპტომების შენიღბვის გამო, შესაძლოა, აუტიზმის სპექტრის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები უშუალოდ მამაკაცურ ქცევით გამოვლინებებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა *(Lai et al., 2017).* აქედან გამომდინარე, საჭიროა ქალებში აუტიზმის სპექტრის ქცევითი გამოვლინებების უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინება, რათა უკეთ გავიგოთ მათი საჭიროებები და მათთვის შეთავაზებული სერვისების შესაბამისი ადაპტირება მოვახდინოთ. ჩვენი სტატიის მიზანია გავზარდოთ ცნობიერება აუტიზმის სპექტრის აშლილობასთან დაკავშირებით და ხაზი გავუსვათ იმ მნიშვნელოვან გენდერულ განსხვავებებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სწორი და დროული დიაგნოსტირებისთვის, შესაბამისი ინტერვენციების ჩამოყალიბებისთვის და ზოგადი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, როგორც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის.

კლინიკური და ქცევითი სქესთა შორისი განსხვავებები

აუტიზმის სპექტრის ქცევითი გამოვლინებები მამაკაცებსა და ქალებში განსხვავებულად მანიფესტირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არ არის ღრმად შესწავლილი, გამოიკვეთება სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც შესაძლო გავლენას ახდენენ აღნიშნულ ქცევით პატერნებზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალები აუტიზმის სპექტრის აშლილობის კლინიკური დიაგნოზით, როგორც წესი, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ინტელექტის მაღალი მაჩვენებლების მქონეთა ჯგუფში. დამატებით, აუტიზმის სპექტრის დიაგნოზისა და საშუალო ინტელექტუალური მაჩვენებლის მქონე ქალები ფუნქციური სოციალური ქცევის უფრო მაღალ დონეს ავლენენ, ვიდრე აუტიზმის სპექტრის მქონე მამაკაცები. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალებში

ISSN2667-9825(online)

სტერეოტიპული ქცევები შედარებით ნაკლებად არის გამოხატული, თუმცა ამ ქცევების ხასიათი შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც აუტიზმის სპექტრის აშლილობა აქვს, აღნიშნა, რომ მუდმივად თან ატარებს „კარგად გაცვეთილ“ წიგნებს და უსასრულოდ კითხულობს მათ, რაც მის ყველა სხვა სოციალურ ინტერაქციას ზღუდავს — ეს შესაძლოა განმეორებად ქცევად ჩაითვალოს, თუმცა დამკვირვებლისთვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება *(Halladay et al., 2015)*. კლინიცისტებმა ასევე აღნიშნეს, რომ გოგონებში შეზღუდული ინტერესი თოჯინებისა ან ჩვილების მიმართ, შეიძლება არასწორად განიმარტოს როგორც როლური თამაში, როდესაც რეალურად შეიძლება ეს აუტიზმის ქცევითი მარკერი იყოს. ამ მაგალითიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ხშირად აუტიზმის სპექტრის მქონე ქალის ქცევითი გამოვლინებები სოციალურად მისაღებია და შესაბამისად, განმტკიცებული სოციალური ნორმები შესაძლოა დიაგნოსტირების პროცესზე ახდენდნენ გავლენას. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტებმა გაითვალისწინონ ქალების სპეციფიკური ქცევითი გამოვლინებების სრული სურათი და ყურადღება მიაქციონ ყველა სახის განმეორებად ქცევას, თუნდაც ისეთებს, რომლებიც გარეგნულად უმნიშვნელო ჩანს. სიმპტომების სწორად შესაფასებლად ასევე აუცილებელია, რომ სპეციალისტებს საკმარისი გამოცდილება ჰქონდეთ როგორც ქალების, ასევე მამაკაცების აუტიზმის სპექტრის ქცევითი გამოვლინების დაკვირვებაში. სქესთა შორის გამოვლენილი განსხვავებები მიუთითებს იმაზე, რომ ქალებში აუტიზმის დიაგნოზი შესაძლოა ნაკლები სიხშირით დაისვას სიმპტომების განსხვავებული გამოვლინების გამო. მამაკაცები უფრო ხშირად ავლენენ ისეთ ქცევის პატერნებს, რომლებიც კლინიკურ შეფასებას ამარტივებს, ისეთს, როგორიცაა აგრესია და ჰიპერაქტიურობა, ვინაიდან მსგავსი ქცევები აუტიზმის სპექტრის აშლილობისთვის ტიპურია. თუ აუტიზმის დიაგნოზისა და 70-ზე მაღალი IQ მაჩვენებლის მქონე ქალები კლინიცისტების მიერ უფრო სოციალურად აღიქმებიან, მათი სიმპტომების გამოვლინება შეიძლება არასწორად შეფასდეს და დიაგნოზის დასმა შეფერხდეს. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებს, რომლებსაც მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ, როგორც წესი, უფრო კარგი ენობრივი უნარები ახასიათებთ, რაც შესაძლოა ტიპურად განვითარებულ ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ სქესობრივ განსხვავებებს ენობრივ უნარებში ასახავდეს. სხვა სქესობრივად დიმორფული მახასიათებლებია: მეხსიერება, კოგნიტური მოქნილობა, ვერბალური უნარები და სოციალური კომუნიკაცია. ამ სურათს კიდევ უფრო ართულებს მშობლებსა და სპეციალისტებში ქალებისა და მამაკაცების მიმართ განსხვავებული მოლოდინები სოციალურ კომუნიკაციასთან და თამაშთან დაკავშირებით. ამ ფაქტორებს შეუძლია აშკარად მოახდინოს გავლენა აუტიზმის სპექტრის აშლილობის გავრცელების სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ქალებსა და მამაკაცებში.

შენიღბვა

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე მრავალი ინდივიდი სოციალურ სიტუაციებში წარმატებული ადაპტაციისთვის სტრატეგიებს მიმართავს. ისინი მალავენ იმ ქცევებს, რომლებიც საზოგადოებაში ატიპიურად მიიჩნევა - ამას ეწოდება შენიღბვა *(Milner et al., 2023)*. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექნიკა ეხმარება ინდივიდს სოციუმთან ადაპტაციაში, ის ასევე დაკავშირებულია გაუარესებულ მენტალურ ჯანმრთელობასთან და დაგვიანებულ დიაგნოსტირებასთან. Milner-ისა და კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მქონე პირებზე (n = 78) ჩატარდა, აუტიზმის სპექტრის აშილობისათვის დამახასიათებელი გამოხატული თვისებების მქონე, მაგრამ დიაგნოზის გარეშე პირებსა (n = 177) და აუტიზმის სპექტრის აშლილობისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელო მახასიათებელების მქონე

ISSN2667-9825(online)

პირებზე (n = 180), აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებმა მნიშვნელოვნად უფრო ხშირად გამოავლინეს ქცევის შენიღბვა, ვიდრე სხვა ჯგუფებმა *(Hull et al., 2020).* ბოლო წლებში მკვლევრებმა ტერმინი „შენიღბვა“ იმ სტრატეგიების აღსაწერად გამოიყენეს, რომლებსაც ადამიანები სოციალური თვალსაზრისით „ატიპური“ ქცევის დასაფარად იყენებენ, საზოგადოებაში ადაპტაციის მიზნით *(Hull et al., 2020).* ამ ტერმინის ქვეშ ქცევის ფართო სპექტრი მოიაზრება — დაწყებული ცნობიერი და დასწავლილი ქცევებით, როგორიცაა საუბარში წინასწარ მომზადებული ფრაზების გამოყენება, დამთავრებული არაცნობიერი და სპონტანური ქცევებით, მაგალითად, თანამოსაუბრის სახის გამომეტყველების მიბაძვით. *(Cook et al., 2021).* მსგავსი სტრატეგიები, გარკვეულ დონეზე, შეიძლება ტიპური განვითარების ადამიანების უმრავლესობამაც გამოიყენოს — მაგალითად, განსხვავებული საუბრის სტილი დამსაქმებელთან, ბებიასთან ან მეგობართან საუბრისას. მიუხედავად ამისა, ქცევის შენიღბვის გამოყენება ძირითადად სწორედ აუტიზმის სპექტრის მქონე ინდივიდებშია შესწავლილი. მტკიცებულებების თანახმად, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდები გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ შენიღბვას, ვიდრე ტიპური განვითარების მქონე თანატოლები. თუმცა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ყველა ადამიანი არ ამჟღავნებს შენიღბვის ქცევას. არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც, სქესი, გენდერი და აშლილობის ინტენსივობა ის ფაქტორებია, რაც შენიღბვის სტრატეგიის გამოყენების ინტენსივობასა და სიხშირეზე ახდენს გავლენას *(Hull et al., 2019).*

არსებობს ვარაუდი, რომ შენიღბვის ქცევა შესაძლოა ის მთავარი ფაქტორი იყოს, რის გამოც დიაგნოსტირებული მამაკაცების რაოდენობა ქალებთან შედარებით, დაახლოებით 3,8:1 თანაფარდობით სჭარბობს *(Maenner et al., 2023).* "შენიღბვის ჰიპოთეზის" მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებს უფრო წარმატებით შეუძლიათ შენიღბვის სტრატეგიების გამოყენება, რის შედეგადაც ისინი კომუნიკაციურ და სოციალურ სირთულეებს მალავენ. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ კულტურაში დამკვიდრებული გენდერული როლები იწვევენ მოლოდინებს, რაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალს ქცევის მოდიფიცირებისკენ და უფრო მეტად ინტრაპერსონალური პროცესების გამოყენებისაკენ უბიძგებს (მაგალითად, გენდერული ნორმებისათვის შესაბამისი ქცევების მიბაძვა) *(Kreiser & White, 2014).* მსგავსმა სტრატეგიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რამდენად შეიმჩნევა სიმპტომები ახლობლების, მასწავლებლებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ, რაც ზღუდავს დიაგნოსტირებას. *(Gould & Ashton-Smith, 2011).*

თვისებრივი კვლევა მხარს უჭერს შენიღბვის ჰიპოთეზას. მაგალითად, Leedham-მა და კოლეგებმა ჩაატარეს ინტერვიუ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე 11 ქალთან, რომელთაც დიაგნოზი 40 წლის ასაკის შემდეგ დაუდასტურდათ. გვიანი დიაგნოზის მგონე ქალები აღნიშნავდნენ, რომ დიაგნოზამდე აქტიურად იყენებდნენ შენიღბვის სტრატეგიებს, რაც შეუმჩნეველს ხდიდა მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს *(Leedham et al., 2020).*

გარდა იმისა, რომ ბოლოდროინდელი კვლევები შეისწავლიან შენიღბვის ქცევების გავრცელებას აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პოპულაციაში, ისინი ასევე განიხილავენ ამ პროცესების მოტივაციურ საფუძვლებსა და შედეგებს. რაც შეეხება შენიღბვის შესაძლო მოტივებსა და მიზეზებს, კვლევებმა აჩვენეს, რომ აღმძვრელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც კარიერული წარმატება, ისე სოციალური ფაქტორები, როგორიცაა სამეგობრო წრეში ინტეგრაცია. *(Cage & Troxell-Whitman, 2019).* ანალოგიურად, Hull-მა და კოლეგებმა *(2017)* აღმოაჩინეს, რომ გვიან დიაგნოსტირებული აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებში შენიღბვის მოტივაციას ასიმილაცია და ურთიერთობების აგების სურვილი წარმოადგენდა. სქესობრივი განსხვავებები დაფიქსირდა შენიღბვის ქცევის

ISSN2667-9825(online)

მოტივაციურ ფაქტორებში: სისტემატური მიმოხილვის მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებისთვის მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი მარტოობის არიდებისა და სოციუმში ინტეგრაციის სურვილია *(Tubío-Fungueiriño et al., 2021).*

აუცილებელია აღინიშნოს, რომ შენიღბვის ქცევა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს ადამიანის კეთილდღეობისთვის. არსებობს მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც შენიღბვის სტრატეგიების გამოყენება კორელირებს სტრესთან და გაზრდილ შფოთვასთან. ის ინდივიდები, რომლებიც ინტენსიურად იყენებენ ამ სტრატეგიებს, განიცდიან უკიდურეს დაღლილობას, ვინაიდან შენიღბვის ქცევა დიდ ენერგიას მოითხოვს. Bargiela-სა და კოლეგების კვლევის (2016) შედეგების მიხედვით, ზოგიერთ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდს, რომელიც ხშირად იყენებს შენიღბვის სტრატეგიებს, უჩნდება საკუთარი იდენტობის დაკარგვის განცდა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კვლევა განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, შენიღბვის ქცევის უარყოფითი შედეგები უფრო მეტად ფიქსირდება ქალებში *(Lai et al., 2017),* მაშინ, როცა სხვა კვლევები ასკვნიან, რომ უარყოფითი შედეგები მსგავსია ორივე სქესისთვის. *(Cage; Troxell-Whitman, 2019; Hull et al., 2019).* Beck-მა და კოლეგებმა (2020) აღმოაჩინეს, რომ იმ ქალებში, რომლებსაც აღენიშნებოდათ აუტიზმის გამოხატული ნიშნები (თუმცა არ ჰქონდათ ოფიციალური დიაგნოზი), შენიღბვის ხშირი გამოყენება მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა ფსიქოლოგიური დისტრესის მაღალ დონეს. ბოლოდროინდელი, და ალბათ ყველაზე შემაშფოთებელი კვლევის მიხედვით, შენიღბვის ქცევის სტრატეგიების გამოყენება აუტიზმის სპექტრის მქონე ზრდასრულებში შესაძლო თვითმკვლელობის რისკ-ფაქტორს წარმოადგენს *(Cassidy et al., 2018),* განსაკუთრებით ქალებში. *(Beck et al., 2020).*

შენიღბვის ქცევის საკვლევი რაოდენობრივი თვითანგარიშის პირველი ინსტრუმენტი - the Camouflaging Autistic Traits Questionnaire (CAT-Q).

Lei-მ და კოლეგებმა (2017) შეისწავლეს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანების შენიღბვის ქცევა. მათ გამოიყენეს აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკური დაკვირვების სქემა (ADOS) და თვითანგარიშის ინსტრუმენტები, როგორიცაა აუტიზმის სპექტრის კოეფიციენტი (AQ) და სხვა. მათ აღმოაჩინეს, რომ მიუხედავად მსგავსი შედეგებისა, აუტიზმის სპექტრის კოეფიციენტის (AQ) მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალებმა გაცილებით უფრო ნაკლები აუტიზმის სპექტრისთვის დამახასიათებელი ნიშანი გამოავლინეს ADOS-ის გამოყენების დროს, რაც ქალების მიერ შენიღბვის სტრატეგიების ხშირ გამოყენებაზე მიგვანიშნებს. სხვა კვლევების მიხედვით, რომლებიც დაკვირვების სქემის მეთოდს იყენებდნენ, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალები ავლენენ უკეთეს არავერბალურ სოციალურ უნარებს *(Rynkiewicz et al., 2016)*, მეტ სოციალურ ქცევას *(Dean et al., 2017)* და ენის პრაგმატულად გამოყენების უნარებს *(Parish-Morris et al., 2017).*

Hull-მა და კოლეგებმა (2019) შეიმუშავეს შენიღბვის ქცევის საკვლევი რაოდენობრივი თვითანგარიშის პირველი ინსტრუმენტი - Camouflaging Autistic Traits Questionnaire (CAT-Q). ეს კითხვარი აფასებს შენიღბვის სამ სხვადასხვა ქვეტიპს: კომპენსაცია, მასკირება და ასიმილაცია. კომპენსაცია გულისხმობს იმ სტრატეგიებს, რომლებიც ამცირებს აუტიზმის ქცევების გამოხატვას, მიუხედავად შინაგანი სირთულეებისა — მაგალითად, სოციალური სცენარების დამახსოვრება და გამეორება. მასკირება ნიშნავს აუტიზმის ქცევების ჩახშობას — მაგალითად, თვალის კონტაქტის იმიტაცია, ან კონკრეტულ თემაზე ხანგრძლივი საუბრისგან თავის არიდება. ასიმილაცია გულისხმობს ისეთი ქცევების ან ინტერესების მიღებას, რომლებიც სოციალურ გარემოს ერგება, მაგალითად, სხეულის ენის, ინტერესებისა და ჩაცმულობის იმიტაცია. CAT-Q-ის გამოყენებით,

ISSN2667-9825(online)

კვლევებმა აჩვენეს, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ქალები ამ სკალაზე ბევრად უფრო მაღალ ქულებს იღებდნენ, ვიდრე მამაკაცები *(Hull et al., 2019),* თუმცა ყველა კვლევამ ეს განსხვავება ვერ დაადასტურა *(მაგ., Cage & Troxell-Whitman, 2019).* The Camouflaging Autistic Traits Questionnaire(CAT-Q)-ის გამოყენებით შეგვიძლია შენიღბვის სტრატეგიების იდენტიფიცირება, რაც მომავალში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდებში (განსაკუთრებით ქალებში) სწორი დიაგნოზის დასმასა და საჭირო ინტერვენციების შემუშავებაში დაგვეხმარება.

დასკვნა

მოცემული სტატიის მთავარი მიზანია ავამაღლოთ საზოგადოებრივი ცნობიერება აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდების, განსაკუთრებით ქალების, დიაგნოსტირების პრობლემაზე. ბოლოდროინდელი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საკმარისი მონაცემი არსებობს იმისთვის, რომ აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად ჩაითვალოს, თუმცა გაცილებით უფრო მეტი კვლევაა საჭირო, რათა ზუსტად გამოიყოს დიაგნოსტიკურ სირთულეებზე მოქმედი ფაქტორები, მაგალითად, როგორიცაა შენიღბვა. ბოლო პერიოდში შემუშავდა შენიღბვის იდენტიფიკაციისთვის განკუთვნილი კითხვარი CAT-Q, რომლის ვალიდობაც შესწავლის პროცესშია.

ჩვენი შეხედულებით, შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები აუტიზმის სპექტრის აშლილობის კვლევაში არის განსხვავებული ქცევითი გამოვლინებების შესწავლა ქალებში და არსებული სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებისა და ინსტრუმენტების იმგვარი მოდიფიცირება, რომ შესაძლებელი გახდეს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მრავალფეროვანი სიმპტომატიკის გამოვლენა.

ISSN2667-9825(online)

გამოყენებული ლიტერატურა:

Milner, V., Mandy, W., Happé, F., & Colvert, E. (2023). Sex differences in predictors and outcomes of camouflaging: Comparing diagnosed autistic, high autistic trait and low autistic trait young adults. Autism, 27(2), 402–414. https://doi.org/10.1177/13623613221098240

Terner, M., Israel-Yaacov, S., & Golan, O. (2024). Sex differences in autism screening: An examination of the Childhood Autism Spectrum Test–Hebrew version. Autism, 28(10), 2562–2571. https://doi.org/10.1177/13623613241235053

Miller, A. L., Troller-Renfree, S., Wade, M., Tabachnick, A. R., Luo, L., Thigpen, C., Flannery, J., & Blair, C. (2023). *Longitudinal associations between early caregiving, executive function, and brain activation in childhood*. Developmental Cognitive Neuroscience, 59, 101204. https://doi.org/10.1016/j.dcn.2023.101204

Lai, M.-C., Lombardo, M. V., Auyeung, B., Chakrabarti, B., & Baron-Cohen, S. (2017). Sex/gender differences and autism: Setting the scene for future research. *Journal of the American Academy of Child & Adolescent Psychiatry, 56*(1), 11–24. https://doi.org/10.1016/j.jaac.2016.10.006

Halladay, A. K., Bishop, S., Constantino, J. N., Daniels, A. M., Koenig, K., Palmer, K., Messinger, D., Pelphrey, K., Sanders, S. J., Singer, A. T., Taylor, J. L., & Szatmari, P. (2015). Sex and gender differences in autism spectrum disorder: Summarizing evidence gaps and identifying emerging areas of priority. *Molecular Autism, 6*, Article 36. https://doi.org/10.1186/s13229-015-0019-y

Hull, L., Mandy, W., Lai, M.-C., Baron-Cohen, S., Allison, C., Smith, P., & Petrides, K. V. (2020). Gender differences in self-reported camouflaging in autistic and non-autistic adults. *Autism, 24*(2), 352–363. https://doi.org/10.1177/1362361319864804

Cook, A., Ogden, J., & Winstone, N. (2021). The experiences of camouflaging in autistic and non-autistic adults: A qualitative study. *Autism in Adulthood, 3*(1), 52–60. https://doi.org/10.1089/aut.2020.0020

Hull, L., Petrides, K. V., Allison, C., Smith, P., Baron-Cohen, S., Lai, M.-C., & Mandy, W. (2019). "Putting on my best normal": Social camouflaging in adults with autism spectrum conditions. *Journal of Autism and Developmental Disorders, 49*(2), 716–729. https://doi.org/10.1007/s10803-018-3793-4

Kreiser, N. L., & White, S. W. (2014). ASD in females: Are we overstating the gender difference in diagnosis? *Clinical Child and Family Psychology Review, 17*(1), 67–84. https://doi.org/10.1007/s10567-013-0148-9

Gould, J., & Ashton-Smith, J. (2011). Missed diagnosis or misdiagnosis? Girls and women on the autism spectrum. *Good Autism Practice (GAP), 12*(1), 34–41.

ISSN2667-9825(online)

Leedham, A., Thompson, A. R., Smith, R., & Freeth, M. (2020). “I was exhausted trying to figure it out”: The experiences of females receiving an autism diagnosis in adulthood. *Autism, 24*(1), 135–146. https://doi.org/10.1177/1362361319853442

Cage, E., & Troxell-Whitman, Z. (2019). Understanding the reasons, contexts and costs of camouflaging for autistic adults. *Journal of Autism and Developmental Disorders, 49*(5), 1899–1911. https://doi.org/10.1007/s10803-018-03878-x

Hyde, J. S. (2005). The gender similarities hypothesis. American Psychologist, 60(6), 581–592. https://doi.org/10.1037/0003-066X.60.6.581

Lippa, R. A. (2010). Gender differences in personality and interests: When, where, and why? Social and Personality Psychology Compass, 4(11), 1098–1110. https://doi.org/10.1111/j.1751-9004.2010.00320.x

Dougherty, J. D., Marrus, N., Maloney, S. E., Yip, B., Sandin, S., Turner, T. N., Selmanovic, D., Kroll, K. L., Gutmann, D. H., Constantino, J. N., & Weiss, L. A. (2022). Can the "female protective effect" liability threshold model explain sex differences in autism spectrum disorder?. Neuron, 110(20), 3243–3262. https://doi.org/10.1016/j.neuron.2022.06.020